1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

3

მარტი

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემლობა
19 თბილისი 56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 7—აბაშისა და წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . 3
2. ბრძანება № 79/41—საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 9
3. ბრძანება № 117—საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 17
4. ბრძანება № 141—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1955 წლის შედეგებისა და 1956 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ 27
5. ბრძანება № 149—თელავისა და ყვარლის რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 38
6. ბრძანება № 150—საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მეთოდური გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ 46
7. ბრძანება № 171—ახალციხისა და ბორჯომის რაიონების განათლების განყოფილებებისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 51

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 7

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 3 იანვარი

აბაშისა და წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აბაშისა და წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სწავლებისა და აღზრდის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ჩატარებულია ერთგვარი დადებითი მუშაობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაიონების მუშა ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო მუშაობას აწარმოებენ სკოლაში მისაღები ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად. ამის გამო ადგილი აქვს მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შეუსრულებლობისა და კლასების დაუტვირთაობის შემთხვევებს. მუშა ახალგაზრდობის 1-მა საშუალო სკოლამ (დირექტორი გ. რუხაძე) გეგმით გათვალისწინებული 8 კლასის (146 მოსწავლით) ნაცვლად გახსნა 7 კლასი 82 მოსწავლით; წულუკიძის მე-2 (დირექტორი ირ. ჯელია) და აბაშის (დირექტორი გ. ქორჩილავა) მუშა ახალგაზრდობის სკოლები დაკომპლექტებულია აღნიშნული ტიპის სკოლისათვის შეუფერებელი კონტინგენტით.

მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენების შედეგად, ხშირია მოსწავლეთა მიერ მეცადინეობაზე სრულიად გამოუცხადებლობის ან დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევები. ასე, მაგალითად, 15 დეკემბერს ქართული ენის გაკვეთილზე წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის VIII კლასის 24 მოსწავლიდან გამოცხადდა მხოლოდ 9 მოსწავლე, VI კლასის 9 მოსწავლიდან 4 და ა. შ.

სათანადო მუშაობა არ ტარდება სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით, თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოებით, სასკოლო ბიბლიოთეკებითა და ნორმალური მუშაობისათვის საჭირო სხვა პირობების შესაქმნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოხსენებული სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სკოლის წლიურ, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიურსა და გაკვეთილების გეგმების შედგენას, რის გამოც ეს მეტად მნიშვნელვანი საქმე ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სუსტად მუშაობენ აღნიშნული სკოლების პედაგოგიური საბჭოები.

სათანადო პასუხისმგებლობით არაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი: მასში შეტანილი არ არის საკონსულტაციო საათები (აბაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ადგილი აქვს ერთ ტიპის საგნების დაწყვილებას, ძნელად ასათვისებელი საგნების პირველ და უკანასკნელ გაკვეთილებზე დასმის შემთხვევებს და სხვა.

ზემოაღნიშნულ სკოლებში სუსტია შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ ახდენენ ისედაც იშვიათად მოსმენილი გაკვეთილების ღრმა ანალიზს და არ უწევენ მასწავლებლებს საჭირო მეთოდურ დახმარებას.

სკოლებში მოუგვარებელია დოკუმენტაცია.

ქ. წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. ამ საგნების მასწავლებლები: ა. მამარდაშვილი (მე-2 სკოლა), ქ. მანაგაძე და პ. რუხაძე (1-ლი სკოლა) ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ გაკვეთილებისათვის მომზადებას, უყურადღებოდ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, არ მუშაობენ შეცდომებზე, რის გამოც მოსწავლეებმა სუსტად იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალები.

როგორც წულუკიძის, ისე აბაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა. მასწავლებელი თ. დანგაძე (წულუკიძის მე-2 სკოლა) სუსტად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვთ აგრეთვე მასწავლებლებს: თ. სულაბერიძეს (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა) და ა. გვაზავას (აბაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამით გათვალისწინებული მასალების სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლის VI — VII და IX — XI კლასების მოსწავლეებმა მათემატიკაში (მასწავლებლები ირ. ჯელია და თ. გეგენავა).

მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან განვლილი მასალა ალგებრაში. მათ ამ საგანში არა აქვთ გამომუშავებული დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები და მექანიკურად აქვთ დაზეპირებული რთული ტრიგონომეტრიული მაგალითების ამოხსნის ხერხები.

წულუკიძისა და აბაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გეოგრაფიის სწავლება. ამ საგნის მასწავლებლები: თ. აბაშიძე (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი სკოლა) ე. ქაცარავა (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა) და რ. გუგუშვილი (აბაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) გაკვეთილებზე იყენებენ შეუფერებელ რუკებს, არ ზრუნავენ საგნის სწავლების მაღალ დონეზე დასაყენებლად, რის გამოც მოსწავლეებმა არ იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალები.

მეტად დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სკოლებში საერთოდ და განსაკუთრებით ცალკეულ კლასებში.

ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, სკოლების დირექტორები თვითდამშვიდებით უყურებენ ამ მდგომარეობას და არ ზრუნავენ მის გამოსასწორებლად.

მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში ზემოხსენებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ წულუკიძისა და აბაშის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. ირ. ბახტაძე და პ. ყურაშვილი) მათ არასაკმაო კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების მიზნით, ქ. წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების სათანადო საგნების მასწავლებლებისაგან შექმნან საგნობ-

რივი კომისიები და უზრუნველყონ მათ მუშაობაზე კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, გულდასმით მოამზადონ პედსაბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხები და უზრუნველყონ მათში მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობა;

დ) ბოლო მოუღონ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, სათანადო ყურადღება მიაქციონ მუშა ახალგაზრდობის სკოლების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებას;

ე) დაუყოვნებლივ გადასინჯონ გაკვეთილების ცხრილი და შეიტანონ მასში სათანადო შესწორებანი;

ვ) წესრიგში მოიყვანონ სკოლების დოკუმენტაცია. არ დაუშვან აკადემიური წარმატების ჟურნალებში, მოსწავლეთა პირად საქმეებსა და საკლასო ჟურნალებში შეფასების ნიშნების გადასწორებისა და ამოფხეკის შემთხვევები;

ზ) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 15 იანვრის მითითებანი „მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“;

თ) მინიმუმამდე დაიყვანონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები;

ი) ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებთან და წარმოებადაწესებულებათა ხელმძღვანელებთან მტკიცე, საქმიანი კავშირის დამყარებით მიაღწიონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

2. მასწავლებლებმა სისტემატურად იზრუნონ საკუთარი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მტკიცედ იხელმძღვანელონ რუსულ და ქართულ ენაზე მუშა ახალგაზრდობის სკოლებისათვის გამოშვებული პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურით და უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ ცალკეულ საგნებში პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევების ათვისება.

3. განათლების განყოფილებათა გამგეებმა — (ამხ. ამხ. ირ. ბახტაძემ და პ. ყურაშვილმა):

ა) გადაჭრით გააძლიერონ მუშა ახალგაზრდობის სკოლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. საკითხები ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ განსახილველად შეიტანონ პარტიის რაიკომის ბიუროსა და მშრომელთა

დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებსა და სასკოლო ბიბლიოთეკების გასამდიდრებლად. მოაგვარონ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით მუშა ახალგაზრდობის სკოლების სარგებლობის საკითხი; იზრუნონ სკოლების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო ყველა პირობის შესაქმნელად;

გ) დაუყოვნებლივ გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტების მეთოდური დახმარება მუშა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებისადმი.

4. საგნის სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ა. მამარდაშვილს (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა), ქ. მანაგაძეს და პ. რუხაძეს (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს თ. დანგაძეს, თ. სულაბერიძეს (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა); და ა. გვაზავას (აბაშის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებელს თ. გეგენავას (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა); გეოგრაფიის მასწავლებლებს თ. აბაშიძეს (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის I-ლი სკოლა), ე. ქაცარავას (წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის მე-2 სკოლა) და რ. გუგუშვილს (აბაშის მუშა ახალგაზრდობის სკოლა).

5. წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის I-ლი და მე-2 საშუალო სკოლების დირექტორებს ირ. ჯელიასა და გ. რუხაძეს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

6. აბაშის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ქორჩილავას სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისათვის მიეთითოს.

7. აბაშის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. პ. ყურაშვილმა ბოლო მოუღოს მუშა ახალგაზრდობის სკოლაში საათების დაქუცმაცების მავნე პრაქტიკას; ამ მიზნით მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს 1956 წლის 15 იანვრამდე.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს წულუკიძისა და აბაშის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და გატარდეს სათანადო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. წულუკიძისა და აბაშის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ირ. ბახტაძემ და პ. ყურაშვილმა) 1956 წლის 25 თებერვლამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს წერილობითი ანგარიში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 30 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 79/41

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისადმი

24 იანვარი, 1956 წელი

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში ჩატარებული აქვთ საგრძნობი მუშაობა.

სკოლები სისტემატურად მარაგდებიან მეთოდური მასალებით; ეწყობა რესპულიკური შეკრებები ახალი პროგრამებისა და ახალი სათანრიგო ვარჯიშების გასარჩევად. საგრძნობლად გაუმჯობესდა მაღალი თანრიგის მოსწავლე სპორტსმენთა და მწვრთვნელთა ახალი კადრების გამოვლინებისა და აღზრდის საქმე.

სკოლების უმრავლესობა დაკომპლექტებულია კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. მოსწავლეთა გუნდებმა საკავშირო შეჯიბრებებზე 1955 წელს დაიკავეს ერთი პირველი და შვიდი მეორე საპრიზო ადგილი, რამაც სსრ კავშირში რესპუბლიკას საერთო მესამე ადგილი მოუპოვა. გასულ წელს მეორე საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შვიდი სახიდან ხუთ სახეში უკეთესი შედეგები იქნა მიღწეული.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

რესპუბლიკის უმრავლეს სკოლებში სასწავლო და კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღ-

ლეზე. დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა ქ. თბილისის მე-8, მე-13, მე-18, 25-ე და 56-ე, ქ. სოხუმის I-ლი და მე-9 საშუალო, ამბროლაურის რაიონის სოფ. ტოლის რვაწლიანი და მთელი რიგი სხვა სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლები, საგნის უცოდინარობის ან საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, გაკვეთილს ატარებენ მეტად დაბალ პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე.

სკოლის ექიმები ხშირ შემთხვევაში არ აწარმოებენ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისათვის მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას და უსაფუძვლოდ ათავისუფლებენ მეცადინეობისაგან ჯანმრთელ მოსწავლეებს.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მეცადინეობა მძლეოსნობაში.

1955 წლის სპარტაკიადაზე ამ სახეში მხოლოდ ერთი რეკორდი იქნა დამყარებული, მეორე ჯგუფში მონაწილე 19 რაიონის გუნდებიდან შვიდი შევიდა ჩათვლაში. არასაკმაო მუშაობა ტარდება ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოსავლინებლად მძლეოსნობის ისეთ სახეებში, როგორიცაა: ბადრო, ბირთვი, შუბი და საშუალო მანძილზე რბენა.

სკოლებში სასროლო საქმისა და ველოსპორტის სუსტად განვითარების შედეგად, რესპუბლიკის ნაკრებმა კოლექტივმა მეორე საკავშირო სპარტაკიადაზე მეხუთე ადგილიდან მეექვსეზე გადაინაცვლა.

სასპორტო სკოლების ზოგიერთი მწვრთვნელი წლების მანძილზე ვერ აწყვეს თანრიგოსანთა მომზადებას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შინასასკოლო და სარაიონო (საქალაქო) მასობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარების საქმე. სუსტად მიმდინარეობს მოსწავლეთა მომზადება „იმშთ“ და „მშთ“ კომპლექსზე.

სკოლების დირექტორთა დიდი ნაწილი არ აწყობს მოედნებს, არ იძენს ინვენტარს და არ ზრუნავს სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების უმრავლესობა სკოლებზე შეფობას არასწორად ახორციელებს, არ ეხმარება ინვენტარით, მწვრთნელებით და ფიზკულტურის სასკოლო კოლექ-

ტივის განმტკიცების ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში წყვეტს მოსწავლეებს სკოლიდან.

ზემოხსენებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ, [illegible] სახალხო განათლების, ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივი ორგანოები, ისე განათლების სამინისტროსა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სათანადო სამმართველო-განყოფილებები საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, სპორტული მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) პირადად განიხილონ ფიზიკური კულტურის პროგრამების შესრულების მიმდინარეობის საკითხი; სათანადო ყურადღება მიაქციონ მე-8 და მე-11 კლასების მოსწავლეთა მომზადებას „იმშთ“ და „მშთ“ ნორმების ჩასაბარებლად და გაკვეთილებისათვის მასწავლებელთა წინასწარ გულმოდგინედ მომზადებით მიაღწიონ სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას;

ბ) სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელონ სკოლის ექიმის მუშაობაზე. პერიოდულად შეამოწმონ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური ვარჯიშობიდან მათი განთავისუფლებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ მოქმედი ინსტრუქციით; ფიზკულტურის გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გამცდენ მოსწავლეთა მიმართ გაატარონ დასჯის ღონისძიებანი ყოფაქცევაში ნიშნის დაკლებამდეც კი;

.გ) მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე გააფორმონ სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივები და მათი ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილი 0,5 ან 0,25 განაკვეთი მასწავლებლებზე გასცენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ასრულებს სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივის დებულებით განსაზღვრულ ამოცანებს; არ დაუშვან აღნიშნული თანხის სხვა დანიშნულებით გამოყენება;

დ) 1955/56 სასწავლო წლის ბოლომდე მოაწყონ სკოლებში მოედნები, სარბენი ბილიკები, სახტომი ორმოები და სატყორცნი რკალები; გამოყონ ტანვარჯიშის დარბაზი ან სასპორტო ოთახი, სადაც ასეთი არ არის, და უზრუნველყონ ისინი საჭირო მოწყობილობით;

ე) მასობრივ-სპორტული მუშაობის სარაიონო (საქალაქო) და რესპუბლიკური სტაბილური კალენდრის საფუძველზე შეადგინონ სკოლის კალენდარი და უზრუნველყონ დასახულ ღონისძიებათა ჩატარებაში პედაგოგიური კოლექტივის აქტიური მონაწილეობა;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მძლეოსნობაში მეცადინეობის გაუმჯობესებას და ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლინებას სპორტში, რისთვისაც ჩაატარონ შეჯიბრებანი კლასისა და სკოლის პირველობაზე ბირთვის კვრაში, ყუმბარის ტყორცნაში, რბენაში, სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომაში და მძლეოსნობის სხვა სახეობებში;

ზ) დილის ვარჯიშებზე რბენაში თანდათანობითი ჩაბმით გაწვრთნან მოსწავლეები საგაზაფხულო კროსისათვის და გამოავლინონ საშუალო მანძილზე საუკეთესო მორბენალნი;

თ) წაახალისონ ის მოსწავლეები, რომლებიც ბეჯით სწავლასთან ერთად წარმატებას იჩენენ სპორტშიც; თვალსაჩინო ადგილას გამოკიდონ სკოლებში მოსწავლეთა რეკორდების ცხრილი. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი რაიონებსა და ქალაქებში მოწყობილი სპორტული ღონისძიებების მონაწილე მოსწავლეებს. მათ წინაშე ამოცანად დასახონ განათლების სამინისტროს VIII და სსრკ-ის ხალხთა სპარტაკიადებში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლა;

ი) მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების შეჯამებისა და აგრეთვე კლასგარეშე და მასობრივ-სპორტული მუშაობის საუკეთესო შედეგების გამოვლინების მიზნით, დაამკვიდრონ სკოლებში საგაზაფხულო სპორტული დღესასწაულების ტრადიცია.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა და ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) სამინისტროების კოლეგიის სხდომებზე, განათლების განყოფილებათა გამგეების, ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლების დირექტორთა და სკოლების მუშაობის შემსწავლელი ინსპექტორების თათბირებზე მოისმინონ მოხსენებები სკოლაში ფიზკულტურის სწავლების მიმდინარეობის შესახებ;

ბ) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისას დაავალონ სასკოლო ინსპექტორებს ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურის სწავლების მიმდინარეობის საკითხებს; აღკვეთონ განათლების სამინსტროს ან სახალხო განათლების განყოფილების

წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე სკოლებში ფიზკულტურის სწავლების მიმდინარეობის შესწავლის არასწორი პრაქტიკა, აგრეთვე ფიზკულტურის მასწავლებელთა გაკვეთილებიდან მოწყვეტა და მათი გადატვირთვა არასასკოლო და არაკლასგარეშე მუშაობით;

ბიბლიოთეკა

ბ) სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, მოსთხოვონ ადგილობრივ ნებაყოფლობით საზოგადოებებს დღის საათებში გამოჰყონ სკოლებისათვის სპორტული ბაზები უფასოდ; ამ მიზნით განიხილონ და დაამტკიცონ სპორტულ ბაზებში სკოლების მუშაობის ცხრილი;

დ) მიმდინარე წლის 15 მარტამდე შეამოწმონ სკოლებში ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მიერ ჩატარებული საშეფო მუშაობა და არ დაუშვან არავითარი დარღვევები ამ მიმართულებით. იმ საზოგადოებებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სკოლას, ნება დართონ გამოიყენონ ნაკრებ გუნდებში 18 წელზე მეტი ასაკის მოსწავლეები;

ე) სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ მათ სპორტული ბაზების მოწყობაში, მიწის ნაკვეთების, საშენი მასალის, საჭირო ტრანსპორტისა და სათანადო თანხების გამოყოფაში;

ვ) რეგულარულად, ჭალაქად კვირაში ერთხელ, ხოლო რაიონებში ორ კვირაში ერთხელ, ჩაატარონ ფიზკულტურის მასწავლებელთა მეცადინეობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული გეგმისა და პროგრამის მიხედვით;

ზ) ა/წლის 30 მარტამდე შეამოწმონ ფიზკულტურის იმ მასწავლებელთა მუშაობა, რომლებიც ნაკლებ მონაწილეობას იღებენ სპორტულ ღონისძიებებში, არ ამზადებენ თანრიგოსნებს და ვერ ასრულებენ სკოლის წინაშე ამ დარგში დასახულ ამოცანებს; ასეთ მასწავლებელთა შემოწმების შედეგი და პროექტი გასათავისუფლებელ მასწავლებლებზე საკონფლიქტო კომისიის ოქმის დართვით, ორივე ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დასტურით, გადმოგზავნონ განათლების სამინისტროში არა უგვიანეს 10 აპრილისა.

3. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძემ):

ა) სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაობის შეფასებისას, როგორც წესი, აუცილებლად გაითვალისწინოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში ჩატარებული მუშაობა;

ბ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად მოამზადოს

საკითხი სპორტულ ნაგებობათა შეკეთებისა და მშენებლობის შესახებ და გაითვალისწინოს სათანადო ასიგნობანი, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლების ისე რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილებათა ბიუჯეტში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტთან ერთად შეადგინოს და ა/წლის 1 თებერვლამდე დასამტკიცებლად წარმოადგინოს დებულება მერვე რესპუბლიკური სასკოლო სპარტაკიადის ჩატარების შესახებ.

4. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძემ):

ა) მოამზადოს გამოსაცემად დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის ფიზკულტურის პროგრამები, განაწილებული მეოთხედების მიხედვით, აგრეთვე პროგრამები სასკოლო კოლექტივებისა და სასპორტო სკოლებისათვის სპორტის ცალკე სახეების მიხედვით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით, დაუშვას საერაიონო (საქალაქო) სასკოლათაშორისო რესპუბლიკური შეჯიბრების სტაბილური კალენდარი 10 თებერვლისათვის;

გ) ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სასკოლო განყოფილებასთან ერთად, მცირე კომპლექტიან სპორტსკოლებში მრავალპროფილიანობის შემცირების მიზნით გადასინჯოს ჯგუფების განაწილება სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით მიმდინარე წლის პირველ მარტამდე;

დ) სკოლების სამმართველოსა და კადრების განყოფილებასთან შეთანხმებით ფიზკულტურის საუკეთესო მასწავლებლები წარმოადგინოს ბრძანებით მადლობის გამოსაცხადებლად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო წიგნში შესატანად, აგრეთვე „სახალხო განათლების წარჩინებულისა“ და „წარჩინებული ფიზკულტურელის“ ნიშნებით დასაჯილდოებლად.

5. დაევალოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტულ განყოფილებას, აგრეთვე ქალაქების—თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ფოთის, გორის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამის კომიტეტებსა და ნებაყოფლობით სპორტულ სა-

ზოგადოებათა თავმჯდომარეებს მისცენ მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს თითოეული ბაზის ყოველდღიურად 3—3 საათის ხანგრძლივობით გამოყენების უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე):

ა) განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტთან, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სასკოლო განყოფილებასთან ერთად მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე წარმოადგინოს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა გადამზადების გეგმა, კურსების დისლოკაცია და კონტინგენტი. აღნიშნული ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა (ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და განათლების სამინისტროსათვის ცალ-ცალკე) გათვალისწინებულ იქნას 1956 წლის ბიუჯეტში;

ბ) განაკვეთზე მეტი საათებისაგან განტვირთოს ის მასწავლებლები, რომლებიც ბღებენ სკოლაში საწრეო მუშაობის ხელფასს;

გ) მტკიცედ განსაზღვროს სპორტსკოლის ყოველი მწვრთნელის დატვირთვა და შეთავსება დაუტოვოს მას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა მისი მოსწავლეების სპორტული ზრდისათვის.

7. სპორტული სკოლების დირექტორების გაკვეთილებით დატვირთვა განისაზღვროს რვა საათიანი სამუშაო დღის ფარგლებში ორი საათის რაოდენობით.

8. მოსწავლეთა გუნდების სპარტაკიადისათვის უკეთ მომზადების მიზნით, ველო და სასროლო სექციებმა მეთოდკაბინეტთან ერთად შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტული ღონისძიებანი.

9. სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა გააუმჯობესონ სკოლებზე საშეფო დახმარება. მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე წარუდგინონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს საშეფო სკოლების სიები და სამუშაო გეგმები.

10. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ, ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სკოლების განყოფილებამ გადაჭრით გააძლიერონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი რესპუბლიკაში მოსწავლეთა ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებისადმი.

11. სპორტის ცალკეული სახეების განვითარებაზე მეტი მეთოდური დახმარებისა და კონტროლის განხორციელების მიზნით

ქ. თბილისში, ბავშვთა კომპლექსურ სპორტულ სკოლასთან (ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ერთეულების და ფონდების ფარგლებში) შეიქმნას უფროს მწვრთნელთა ჯგუფი, მუშაობის ცალკეული სახეების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ბავშვთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებთან, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებასთან შეიქმნას ფიზიკური აღზრდის საბჭოები.

13. დაევალოთ გაზეთ „სახალხო განათლებისა" და „ლელოს" რედაქციებს (ამხ. ამხ. გ. საჯაია და აკ. უგულავა) ფართოდ გააშუქონ გაზეთში საკითხები სკოლებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შესახებ.

14. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებმა ა/წლის 30 აპრილამდე წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

15. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე) ეს ბრძანება სტამბური წესით გაამრავლოს და სახელმძღვანელოდ დაუგზავნოს განათლების და ფიზკულტურის ადგილობრივ ორგანოებს და სკოლებს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

გ. ჯიბლაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

გ. სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 117

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 4 თებერვალი

საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

F 1941

გავეცანი რა საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ რომ რაიონის ზოგ სკოლაში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ტარდება ღონისძიებები პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად, კეთილმოწყობილია სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, ეწყობა სასწავლო სახელოსნოები. საჩხერის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. სადუნიშვილი) სახელოსნოსათვის გამოყოფილია ორი ოთახი, შეძენილია ხის დასამუშავებელი სახარატო დაზგა, სალესი ჩარხი და ხესა და ლითონზე სამუშაო ხელსაწყო-იარაღები, რომელსაც იყენებენ პრაქტიკუმებისათვის. გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული მასწავლებლებს: რუსულ ენასა და ლიტერატურაში — ე. მაჭარაშვილს (პირველი საშუალო სკოლა), ე. სმირნოვას, ს. დგებუაძეს (მეორე საშუალო სკოლა); მათემატიკაში — გ. სადუნიშვილს, კ. ნადირაძეს (პირველი საშუალო სკოლა), ა. აბაშიძეს (ჭალის საშუალო სკოლა); ქიმიაში — ვ. ჭიხორიას (პირველი საშუალო სკოლა), ბიოლოგიაში — ც. ქველაძეს (მეორე საშუალო სკოლა).

მიუხედავად ამისა რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ მუშაობენ არასათანადო ცენზისა და დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლები. ჯალაურთისა და პერევის რვაწლიან სკოლებში უცხო ენებს ასწავლიან პ. ცარციძე და ნ. დეკანოიძე, რომელთაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ; მოხვისა და მახათაურის რვაწლიან სკოლებში კი უცხო ენას ასწავლიან ბიოლოგები — გ. კომლაძე და ს. აბუთიძე.

ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო ადგილი აქვს ზოგიერთი მასწავლებლის გადატვირთვას სხვიტორის, სარეკის რვაწლიან და საჩხერის მეორე საშუალო სკოლებში (მასწავლებლები: ვ. ჩინჩალაძე, ლ. შველიძე, გ. გომელიშვილი და ა. მუმლაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო ყურადღება არ ექცევა ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების შესრულებას სოფლის მასწავლებლებზე პრივილეგიებისა და შეღავათების გავრცელების შესახებ. ჩამოსული მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილნი ბინითა და სათბობით (საჩხერის პირველი, მეორე საშუალო და სხვიტორის რვაწლიანი სკოლები).

რაიონის სკოლებში სუსტად ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმით რაიონის სკოლებში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 7968 ბავშვი და მოზარდი. ფაქტიურად 1955 წლის 5 სექტემბრისათვის ჩაბმული იყო 7465 მოსწავლე ე. ი. 503 მოსწავლით ნაკლები. სკოლების ხელმძღვანელები ქმედით ზომებს არ ღებულობენ სწავლას ჩამოშორებული მოსწავლეების სკოლებში დასაბრუნებლად. პირველი მეოთხედის ბოლოს რაიონის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი 321-ით შემცირდა. ამათგან მნიშვნელოვანი ნაწილი განითესა (საჩხერის მეორე საშუალო სკოლიდან — 29 მოსწავლე, საჩხერის პირველი საშუალო სკოლიდან — 5, სარეკის რვაწლიანი სკოლიდან-11).

არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი მუშაობა პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაქმნელად. საჩხერის მეორე, ჭალის საშუალო, სხვიტორის რვაწლიან და სხვა სკოლებში არ არის სახელოსნოები.

რაიონის ხუთ დაწყებითსა და ერთ რვაწლიან სკოლას დღემდე არა აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის მხრივ. საჩხერის პირველი საშუალო სკოლის ლაბორატორიებში არაა მოსწავლეთა სამუშაო მაგიდები, ლაბორატორიები არ თბება და ამის გამო მეცადინეობის ჩატარება შეუძლებელია. საჩხერის მეორე საშუალო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტები ერთ პატარა ოთახშია მოთავსებული, სადაც ლაბორატორიული მუშაობის ჩატარება არ ხერხდება. ასეთივე მდგომარეობაა ჭალის საშუალო და სხვიტორის რვაწლიან სკოლებში.

ზოგიერთი მასწავლებელი პრაქტიკუმებს სათანადო მომზადების გარეშე ატარებს, ზეპირი საუბრის სახით გადასცა სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმი VIII[1] კლასში თემაზე — „ნიადაგის [illegible] გომო დამუშავება“ საჩხერის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ცარციძემ. მან არ გააცნო მოსწავლეებს ნიადაგის დამუშავების მიზანი და მისი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საქმეში, არ უჩვენა სტრუქტურული და უსტრუქტურო ნიადაგების ნიმუშები. გავლილი მასალიდან მოსწავლეებმა არ იციან მინერალური სასუქების გარეგანი ნიშნებით და მარტივი ქიმიური ანალიზით გამოცნობა. არა აქვთ წარმოდგენა ნეშომპალასა და ნაცრის შედგენილობაზე.

ამავე სკოლის IX[2] კლასში მასწავლებელ ს. ბარბაქაძეს მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმზე ოთხი სხვადასხვა სახის პრაქტიკული მუშაობა ჰქონდა გათვალისწინებული (ქლიბით ლითონის გაჭრა, სალაშინის მომზადება სამუშაოდ, სახარატო დაზგის აგებულობისა და მასზე მუშაობის წესების გაცნობა და სპეციალური მაკრატლით თუნუქის გაჭრა). პრაქტიკულ სამუშაოს წინ არ უძღოდა სათანადო ახსნა-განმარტება და თეორიული საკითხების მოგონება ფიზიკაში გავლილი მასალიდან. მოსწავლეთა უმრავლესობა არ იყო ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სამუშაოს შესასრულებლად ხელსაწყო-იარაღები საკმაო რაოდენობით მოეპოვებათ.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია ბიოლოგიის სწავლების საქმეში. სხვიტორის რვაწლიანი სკოლის V კლასის (მასწავლებელი თ. გრძელიშვილი) მოსწავლეები პრაქტიკულად არ იცნობენ ნიადაგის შედგენილობას, ღერძიანი და ფუნჯა ფესვების აგებულებას, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ ფესვთა სახეებს. მათ სუსტად იციან თესლის შედგენილობა, ლებნების დანიშნულება და თესლის გასუფთავების მნიშვნელობა მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ჭალის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწავლებელი ჭ. აბაშიძე) მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ ცხოველთა ორგანიზმების გარემო პირობებთან შეგუებულობაზე. მათ არ იციან ფრინველების სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების აგებულება. არ ჩაუტარებიათ თევზების, ფრინველების და სხვათა გაკვეთა და მათზე დაკვირვება.

არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს ქიმიაში ჭალის საშუალო სკოლის X — XI კლასების მოსწავლეებმა

(მასწავლებელი ნ. ლეკვეიშვილი). მათ ვერ განმარტეს ტუტე მეტალების ქიმიური თვისებები, პერიოდული სისტემის ძირითადი საკითხები, ატომის აგებულებასთან დაკავშირებული (X კლ.). მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ მარილებისა და მჟავების დისოციაციაზე, იონების მიღების პირობებსა და თვისებებზე. არ იციან რადიაქტიური მოვლენა, რადიაქტიური სხივების თვისებები და მნიშვნელობა. არ არიან დაუფლებულნი იონური ტოლობების წერასა და ნაერთების სტრუქტურული ფორმულებით გამოსახვას. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი საჩხერის მეორე საშუალო სკოლის XI² კლასში (მასწავლებელი თ. ხვედელიძე).

შესწავლილ სკოლებში სუსტადაა დაყენებული კლასგარეშე მუშაობა ქიმია-ბიოლოგიაში. ნორჩ ქიმიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა წრეები ძირითადად პროგრამულ საკითხებზე მუშაობენ და ხშირად გაკვეთილის მასალას იმეორებენ. ეს წრეები არ არიან დაყოფილი რგოლებად, არ აყენებენ ცდებს სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე, არ აწყობენ ზოოლოგიურ კუთხეებს, არ ამზადებენ გაკვეთილებზე გამოსაყენებელი მარტივი სახის პრეპარატებსა და ხელსაწყოებს.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე არითმეტიკაში საჩხერის მეორე საშუალო სკოლის V კლასში (მასწავლებელი ბ. მაჭარაშვილი). მოსწავლეებმა არ იციან რიცხვთა გაყოფადობა, საერთო უდიდესი გამყოფისა და უმცირესი ჯერადის პოვნა, წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის განსაზღვრა და სხვ. ამავე სკოლის მასწავლებელი ლ. შველიძე VIII კლასში გაკვეთილებზე ამოცანების ამოხსნისას (ალგებრა) მოსწავლეებს არ აბამს მუშაობაში. ამოცანის პირობის მიხედვით პირველხარისხიან განტოლებათა სისტემის შედგენასა და ამოხსნას მოსწავლეები უაზროდ წერენ რვეულებში კარნახით; დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს X კლასის მოსწავლეებმა ტრიგონომეტრიაში. ისინი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ ტრიგონომეტრიულ ხაზებსა და კუთხის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს. არ იციან 30°, 45°, და 60°-იანი კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციები და დაყვანის ფორმულები.

სხვიტორის რვაწლიანი სკოლის VII კლასში მასწავლებელი ლ. გიორგაძე გეომეტრიის სწავლებისას მოსწავლეებს ნაკლებად აბამს მუშაობაში. ჭალის საშუალო სკოლის VI კლასის (მასწავლე-

ბელი პ. ბაქრაძე) მოსწავლეებს უჭირთ დამოუკიდებლად თემრე-
მების დამტკიცება და დასკვნების გამოტანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებს რუსული
ლიტერატურის სწავლებას. ნაკლები ყურადღება ექცევა ანსნით
კითხვასა და სალექსიკონო მუშაობას. მოსწავლეებს უჭირთ ლიტ-
რატურული ტექსტის შინაარსის ენობრივად სწორად თხრობა. მუ-
შაობა გრამატიკაში მოწყვეტილია ცოცხალ სამეტყველო პრაქტი-
კას, რის გამო გრამატიკული კანონები მოსწავლეებს მექანიკურად
აქვთ გაზეპირებული და მათ შეგნებულად ვერ იყენებენ ზეპირსა და
წერით მეტყველებაში.

დაბალია მოსწავლეთა ცოდნა რუსულ ენაში ჭალის საშუალო
სკოლის VI[1], VIII[1] და X კლასებში (მასწავლებლები შ. მაჭარაშ-
ვილი, დ. კოტრიკაძე) X კლასის მოსწავლეებმა არ იციან გავლილი
ლიტერატურული მასალა, სუსტად ერკვევიან გრამატიკაში.

რუსული ენის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ აგრეთვე საჩხერის II
საშუალო სკოლის IX[2] კლასის მოსწავლეები (მასწ. მ. კუსიანი).
მათ ლიტერატურული ტექსტი მექანიკურად აქვთ გაზეპირებული
და არ ესმით ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა. არ იციან შეს-
წავლილი მასალის იდეა. სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ მოსწავლეები
აგრეთვე საჩხერის 1 საშუალო სკოლის VI[1], VII[2] და IX[2] კლასებში
(მასწავლებლები რ. ღონღაძე და ლ. ბახტაძე).

ენის სუსტ ცოდნას ამჟღავნებს საჩხერის I საშუალო სკოლის
II კლასის რუსული ენის მასწავლებელი თ. ნოზაძე.

შეუწყნარებლად ცუდად არის სკოლებში წერითი ნამუშევრე-
ბის გასწორების და შეცდომებზე მუშაობის საქმე. საკონტროლო
წერითი ნამუშევრები გულდასმით არ სწორდება, შეფასებები ლი-
ბერალურია. მაგალითად, საჩხერის I საშუალო სკოლის VI[1] კლასში
მოსწავლე ნ. ცერცვაძის „5"-ზე შეფასებულ ნამუშევარში 6 შეც-
დომაა შეუმჩნეველი. ამავე კლასის მოსწავლეს ნ. დურმიშიძეს 15
შეცდომა აქვს დაშვებული და ნაშრომი „3"-ზე არის შეფასებული
(მასწ. ღონღაძე). მსგავს მოვლენას აქვს ადგილი X[1] კლასში. ასე-
თივე მდგომარეობაა საჩხერის II საშუალო სკოლაში.

რიგმა სკოლებმა დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრეს მიმდინა-
რე სასწავლო წლის 1 მეოთხედი. რაიონის სკოლების 7100 შეფასე-
ბული მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 2148 (30%) მოსწავლე. ორგვე-
თის საშ. სკოლაში (დირექტორი თ. იაშვილი) 468 მოსწავლიდან ვერ

ასწრებდა 193 (41%), ქორეთის საშ. სკოლაში (დირექტორი ა. ფერცვაძე) 505-დან 189 (37%). ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა მოსწრება კიდევ უფრო დაბალია ცალკეული კლასებისა და საგნების მიხედვით. საჩხერის პირველი საშუალო სკოლის IX[1] კლასში 29 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 15 (51 %); V[2] კლასში 26 მოსწავლიდან 12 (46 %); საჩხერის მეორე საშუალო სკოლის V[3] კლასში 28 მოსწავლიდან —15 (53 %), VI[2] კლასში 31 მოსწავლიდან-16 (51%), IX$_1$ კლასში 28 მოსწავლიდან — 14 (50%).

სწავლაში კომკავშირელებიც ჩამორჩებიან, საჩხერის პირველი საშუალო სკოლის 167 კომკავშირელიდან ვერ ასწრებდა 52 (31 %).

სუსტია კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სისტემატურად არ ესწრებიან გაკვეთილებს, არ სწავლობენ მოსწავლეთა დაბალი წარმატების მიზეზებსა და არ სახავენ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს. საჩხერის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს 10 დეკემბრამდე მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ 36 გაკვეთილი, ხოლო ჭალის საშუალო სკოლის დირექტორსა და სასწავლო ნაწილის გამგეს 27 გაკვეთილი თითოეულს. მოსმენილი გაკვეთილების ჩანაწერები გადაუთეთრებელია და მათში არა ჩანს გაკვეთილის საფუძვლიანი ანალიზი.

პედაგოგიური საბჭოს ოქმებში გარკვეულად არა ჩანს ის მიზეზები, რომლებიც მოსწავლეთა წარუმატებლობას განაპირობებენ, ხოლო პედ-საბჭოს მიერ დასახული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფენ სწავლების საქმის არსებითად გაუმჯობესებას (საჩხერის მეორე საშუალო და სხვიტორის რვაწლიანი სკოლები).

ზოგ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა, რის გამო ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. გასული წლის 19 ოქტომბერს საჩხერის მეორე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები გაიპარენ სკოლიდან და გააცდინეს უკანასკნელი სამი გაკვეთილი. ამავე სკოლაში მოსწავლეთა მიერ 6 ათასამდე გაკვეთილია არასაპატიო მიზეზით გაცდენილი, დისციპლინის დარღვევისათვის ყოფაქცევაში ნიშანი დაეკლო 13 მოსწავლეს. სხვიტორის საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. მაჭარაშვილი) IV კლასის მოსწავლე შ. ხუნდიაშვილმა ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა მასწავლებელ კ. ქავთარაძეს.

შესწავლილ სკოლებში არა ჩანს კლასების ხელმძღვანელთა როლი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საქმეში. ზოგადია და ერთ-

ნაირი მათ მიერ შედგენილი საალმზრდელო გეგმები, რომლებშიც გაურკვეველია კლასის სახე და თავისებურება. სხვიტორის რვაწლიანი სკოლის V კლასის ხელმძღვანელი გეგმაში აღნიშნავს, რომ „გაუწევს დახმარებას კომკავშირელ მოსწავლეებს“ მაშინ, როცა ამ კლასში არც ერთი კომკავშირელი არ არის.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს ზოგიერთი სკოლის წლიურ სამუშაო გეგმებს. მათში არაა გათვალისწინებული სკოლის სპეციფიკური პირობებისა და მდგომარეობის შესაბამისი საკითხები. სხვიტორის რვაწლიანი სკოლის გეგმაში არაფერია ნათქვამი პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის შესახებ, ხოლო საჩხერის მეორე საშუალო სკოლის გეგმაში კი—ზამთრისათვის, საგაზაფხულო გამოცდებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ.

საჩხერის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში არ არის ჯანსაღი დამოკიდებულება. ეს საკითხი გ/წლის 20 სექტემბერს განიხილა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ, რომელმაც სკოლის დირექტორს ივ. ცარციძეს გამოუცხადა საყვედური და გააფრთხილა, თუ იგი ვერ შექმნიდა სკოლაში ნორმალური მუშაობის პირობებს, მოიხსნებოდა თანამდებობიდან. შემოწმებით დადასტურდა, რომ არაჯანსაღი დამოკიდებულება დირექტორსა და მასწავლებელთა ერთ ნაწილს შორის ისევ გრძელდება. დირექტორის უხეშმა საქციელმა და უტაქტობამ ხელი შეუწყო მეორე კლასის მასწავლებელ ა. ქამუშაძის დაავადებამდე მიყვანას.

სუსტად ეხმარებიან შესწავლილ სკოლებს მშობელთა კომიტეტები. სკოლების ხელმძღვანელები ვერ წარმართავენ მშობელთა კომიტეტების მუშაობას სკოლების კეთილმოწყობისა და სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლის სანიტარული რეჟიმის დაცვისა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის საკითხებს. მოსწავლეები თმაგაუკრეჭავი, დაუვარცხნელი და უსუფთაოდ დადიან სკოლაში (საჩხერის მეორე, ჭალის საშუალო, სხვიტორის რვაწლიანი სკოლები).

რაიონის სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი სათბობით. სხვიტორის რვაწლიან და დუნთის დაწყებით სკოლებში შეშა სრუ-

ლებით არ არის მიზიდული, ხოლო საჩხერის პირველ და მეორე საშუალო სკოლებში საკლასო ოთახების დიდი ნაწილი არ [illegible]

რაიონის განათლების განყოფილების მიერ სათანადო ყურადღება არ ექცევა პოლიტექნიკური სწავლების განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარებას.

სახალხო განათლების საბჭოს გასული წლის 15 დეკემბრამდე არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია.

ნაკლები ყურადღება ექცევა სასოფლო საბჭოების ბიუჯეტით სასწავლო ხარჯებისათვის გათვალისწინებული თანხების ათვისებას. რაიონის 11 სასოფლო საბჭოს 42 სკოლაზე 1955 წელს ამ დანიშნულებისათვის უნდა დახარჯულიყო 25100 მანეთი, აქედან 15 დეკემბრისათვის ათვისებული იყო მხოლოდ 12950 მანეთი მაშინ, როცა რაიონის სკოლების დიდი ნაწილის სასწავლო-მატერიალური ბაზა მეტად სუსტია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებამ (გამგე ვლ. ჭიხორია).

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების მაღალხარისხოვნად ჩატარებას და ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ამ საგნების მასწავლებლებს პედაგოგიურ—მეთოდური დახელოვნების საქმეში;

ბ) საფუძვლიანად შეისწავლოს სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობა და დასახოს სათანადო ღონისძიებები სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიოს სკოლებს შეფ-ორგანიზაციებთან დაკავშირების საქმეში. მიაღწიოს ყველა სკოლისათვის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამოყოფას;

დ) საბჭოს სხდომაზე სისტემატურად განიხილოს სკოლების მუშაობისა და სწავლა-აღზრდის აქტიური საკითხები;

ე) სისტემატურად შეამოწმოს ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტი მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების მუშაობა, გაუწიოს მათ სათანადო დახმარება და ნაკლოვანებების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განათლების სამინისტროს წინაშე დააყენოს საკითხი მათი განთავისუფლების შესახებ;

3) არ დაუშვას არასპეციალისტ მასწავლებელთა გამოყენებისა და ცალკეულ მასწავლებელთა გაკვეთილებით გადატვირთვის ფაქტები;

ზ) გადამჭრელი ზომები მიიღოს რაიონის სკოლების სათბობი მასალით უზრუნველსაყოფად;

თ) ყურადღება მიაქციოს სკოლების მიერ სასოფლო საბჭოს ბიუჯეტით სასწავლო ხარჯებისათვის გათვალისწინებული თანხების დროულად ათვისების და დანიშნულების მიხედვით მის გამოყენებას.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ შინა-სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა, მომზადებულად ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები, ფართოდ გაშალონ მეთოდური მუშაობა და ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საფუძველზე აამაღლონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატება;

ბ) სისტემატურად იზრუნონ სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შევსებისა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე პრაქტიკული მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის;

გ) მტკიცე კავშირი დაამყარონ შეფ-ორგანიზაციებთან და აქტიურად ჩაებან ისინი პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში;

დ) ხშირად დაესწრონ სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების მასწავლებლებს, ჩაებან ისინი მეთოდური კომისიების მუშაობაში და ხელი შეუწყონ მათ პედაგოგიურ დახელოვნებას;

ე) თანმიმდევრული პედაგოგიური ღონისძიებების გატარების საფუძველზე უზრუნველყონ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცება;

ვ) დააზუსტონ სკოლის გარეშე დარჩენილ 7-15 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა და უზრუნველჰყონ სწავლებაში მათი ჩაბმა;

ზ) განამტკიცონ კლასის ხელმძღვანელთა როლი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის საქმეში და აღმოფხვრან ფორმალიზმი მათ მუშაობაში;

თ) სათანადო ყურადღება მიაქციონ სკოლის სანიტარული რეჟიმის დაცვასა და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის გაუმჯობესებას.

3. მასწავლებლებმა: მტკიცედ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს მითითებებითა და განკარგულებებით, სისტემატურად ემზადონ გაკვეთილებისათვის, არ დაუშვან პრაქტიკუმებზე სწავლების მოწყვეტა შესაბამისი საგნის თეორიული საფუძვლებიდან, უზრუნველჰყონ მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის საფუძვლიანად შეთვისება, გაზარდონ მოსწავლეთა მიმართ მომთხოვნელობა, გულდასმით გაასწორონ წერითი ნამუშევრები და აღმოფხვრან ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

4. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისადმი გულგრილი დამოკიდებულების, პედკოლექტივში არაჯანსაღი მდგომარეობის შექმნისა და აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულების შეუსრულებლობისათვის გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან საჩხერის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ივანე ილარიონის ძე ცარციძე.

დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება დაევალოს იმავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ივანე სოლომონის ძე ფარქოსაძეს.

5. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არასათანადო ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ: ჭალის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ახვლედიანს და სხვიტორის რვაწლიანი სკოლის დირექტორს პ. მაჭარაშვილს.

6. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) დააზუსტოს საჩხერის რაიონის სკოლების კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

7. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე ზონის ინსპექტორის საშუალებით შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს სამინისტროს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 3 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. გურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 141

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წ. 13 თებერვალი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1955 წლის შედეგებისა და 1956 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ 1955 წელში მოწყობილი დახელოვნების კურსების მუშაობის შედეგებს აღვნიშნავ, რომ ხსენებულმა ინსტიტუტმა გასულ წელს წარმატებით ჩაატარა მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსები და საგრძნობლად აამაღლა მათი მუშაობის ხარისხი. ინსტიტუტმა გადაჭარბებით შეასრულა დახელოვნების კურსების მსმენელთა კონტინგენტის 1955 წლის გეგმა (კურსები გაიარა 5269 მუშაკმა, ნაცვლად 500-სა).

ინსტიტუტმა სკოლის წინაშე დაყენებული ახალი ამოცანების შესაბამისად გადაამუშავა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები, აგრეთვე საჭირო ინსტრუქციები და მითითებანი, გააუმჯობესა ლექტორთა შემადგენლობა, შეიძინა სასწავლო ხელსაწყო-იარაღები და მასალები, დროულად აცნობა განათლების განყოფილებებს კურსების სახეები, მუშაობის დრო, ადგილი და კონტინგენტი, მტკიცე კონტროლი დააწესა დახელოვნების კურსების მუშაობაზე.

ინსტიტუტმა გასულ წელს მეტი ყურადღება დაუთმო პოლიტექნიკური სწავლების საკითხებს, განსაკუთრებით ქმედითი დახმარება გაუწია დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ხელგარჯილობის სწავლების საქმეში (ხელგარჯილობაში დახელოვნების კურსები გაიარა 920 მასწავლებელმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 810-ისა), მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკისა და

სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების მასწავლებელთათვის რეს-
პუბლიკის 20 ქალაქსა და რაიონში მოაწყო სარაიონთაშორისო
სამდღიანი მეთოდსემინარები, რომლებსაც დაესწრო ბიოლოგიის
2007 და ფიზიკის 1731 მასწავლებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებმა, მარ-
ნეულის, თელავის, ბორჯომის, გორის, ჭიათურის, ზუგდიდის, ლა-
გოდეხის, სამტრედიისა და სხვა რაიონების განათლების განყო-
ფილებებმა საგრძნობლად გააძლიერეს ზრუნვა სკოლის მუშაკთა
პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და უზრუნველ-
ჰყვეს კურსების მსმენელთა კონტინგენტის სწორად შერჩევა და
კურსებზე მათი დროულად მივლინება.

საკურსო ღონისძიებათა ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა
ნაკლოვანებებსაც:

მსმენელთა კონტინგენტის საერთო გეგმის გადაჭარბებით შეს-
რულების მიუხედავად, ქ. თბილისისა და ქ. გორის, აგრეთვე ყაზ-
ბეგის, თიანეთის, წალკის, მახარაძის, მესტიის, ბოგდანოვკის,
ლენტეხის, ადიგენისა და ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების გან-
ყოფილებებმა ვერ უზრუნველჰყვეს მიცემული გეგმის შესრულება
და არ მიიღეს საჭირო ზომები იმ მუშაკთა მიმართ, რომლებმაც
თავი აარიდეს დახელოვნების კურსებზე წასვლას.

ადგილი ჰქონდა დახელოვნების კურსებზე გასაგზავნ მუშაკთა
არასწორად შერჩევისა და კურსებზე დაგვიანებით მოვლინება-
გამოცხადების შემთხვევებს.

ზოგიერთი მსმენელი საჭირო ხალისითა და მონდომებით არ
მუშაობდა კურსებზე, რის გამოც დახელოვნების კურსები ვერ
დაამთავრა 104 მსმენელმა.

არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებდა ქ. სტალინირში, სოხუმ-
სა და ბორჯომში მოწყობილი კურსების მუშაობას. დახელოვნების
ზოგიერთი კურსები უზრუნველყოფილი არ იყო საჭირო ინვენ-
ტარითა და კომუნალური მომსახურებით, ამასთან განიცდიდა ხელ-
საწყო-იარაღებისა და მასალების ნაკლებობას, მიღებული ზომების
მიუხედავად ზოგან მოგვარებული არ იყო კურსების მსმენელთა
კვების საკითხი.

სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ
მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა დღემდე ვერ შესძლო
პოლიტექნიკური სწავლების მეთოდკაბინეტის შექმნა და სასწავლო
სახელოსნოების მოწყობა.

მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გ. ასპინძელაშვილს:

ა) 1956 წლის განმავლობაში დახელოვნების კურესების საშუალებით უზრუნველჰყოს 5000 მასწავლებლისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა გადამზადება თანდართული განრიგის მიხედვით (დანართი № 1, № 2, № 3, № 4,);

ბ) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სახალხო განათლების ხაზით დაყენებული ამოცანებისა და სკოლის ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად გადაამუშაოს დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმები, პროგრამები და დროულად წარმოადგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად;

გ) საკურსო ლონისძიებათა ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პოლიტექნიკური სწავლების საკითხებს, იზრუნოს იმისათვის, რომ დახელოვნების კურსებმა სერიოზული დახმარება გაუწიოს განათლების მუშაკებს სწავლების საზოგადოებრივ. სასარგებლო შრომასთან მჭიდროდ დაკავშირებისა და მოზარდ თაობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის საქმეში;

დ) მიიღოს ქმედითი ზომები მასაწვლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პოლიტექნიკური სწავლების მეთოდკაბინეტების დაკომპლექტებისა და სახელოსნოების დროულად მოწყობისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების და შრომისა და პრაქტიკული მეცადინეობის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მუშაობას;

ე) მიიღოს საჭირო ზომები დახელოვნების კურსების ლექტორ-მასწავლებელთა შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ლექციების ხარისხის ამაღლებისათვის, მეტი ყურადღება მიაქციოს პრაქტიკული მუშაობის ჩატარებას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-გავრცელებასა და ექსკურსიების მოწყობას;

3) გაატაროს საჭირო ლონისძიებანი დახელოვნების კურსების მსმენელთა სამეცადინო ოთახებითა და საცხოვრებელი ბინებით.

აგრეთვე საჭირო ინვენტარით, სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით და მასალებით უზრუნველყოფისათვის, მსმენელთა კვების საკითხისა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) დროულად აცნობოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს 1956 წელს მოსაწყობი დახელოვნების კურსების სახეები, მუშაობის დრო და ადგილი, აგრეთვე მათ მიერ კურსებზე მისავლინებელი კონტინგენტი.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის განათლების განყოფილებებმა გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და საჭირო დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს დახელოვნების კურსების მუშაობის ნაყოფიერად წარმართვის საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულებას, პირადად შეარჩიონ დახელოვნების კურსებზე მისავლინებელი მასწავლებლები და სახალხო განათლების სხვა მუშაკები და უზრუნველჰყონ მათი დროულად და უკლებლივ გაგზავნა დახელოვნების კურსებზე, ამასთან მკაცრი ზომები მიიღონ იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც თავს აარიდებენ დახელოვნების კურსებზე წასვლას;

ბ) დახელოვნების კურსებზე არ გაგზავნონ ჩვილბავშვიანი, დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული, ავადმყოფი, მოხუცებული, სამუშაოდან გასათავისუფლებლად გათვალისწინებული და ის მუშაკები, რომელთაც უკანასკნელ 4 წელში აქვთ დამთავრებული დახელოვნების შესაბამისი სახის კურსები;

გ) დახელოვნების კურსების მუშაობის დაწყებიდან სამი დღის განმავლობაში შეამოწმონ მათ მიერ მივლინებულ მუშაკთა გამოცხადება დახელოვნების კურსებზე, იმ მუშაკებს, რომლებიც კურსებზე არ გამოცხადდებიან დაადონ სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ წინადადებანი პედაგოგიური სამუშაოდან მათი მოხსნის შესახებ;

დ) ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნე-

ბის ინსტიტუტსა და ქუთაისის ფილიალს მათ ტერიტორიაზე მოწყობილ დახელოვნების კურსების მსმენელების სამეცადინო ოთახებით, საცხოვრებელი ბინებითა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას მიმდინარე წლის 1 მაისამდე გამოუყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და ქუთაისის ფილიალს დახელოვნების კურსებისათვის საჭირო ინვენტარი და მასალები.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

6. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს განათლების განყოფილებების სახალხო განათლების საბჭოს სხდომებსა და სკოლის დირექტორების თათბირებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 10 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

თ. ზახაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1956 წლის განმავლობაში

(მუშაობიდან მოუწყვეტლივ)

№№	კურსების დასახელება	ჯგუფების რაოდენობა	მსმენ. კონტინგენტი	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1	დაწყ. კლ. მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	II—V	ბათუმი
2	არაქართული სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	2	60	II—V	თბილისი
3	ქართული სკ. დაწყ. კლ. მასწავ - თა	2	60	II—V	კასპი
	„ „ „	1	30	II—V	თბილისი
4	რუსული სკ. დაწყ. კლ. მასწავ - თა	1	30	II—V	„
5	ქართული ენისა და ლიტ. მასწავ - თა	1	30	IX—XII	„
	„ „ „	1	30	IX—XII	ქუთაისი
6	არა რუსული სკ. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	1	30	IX—XII	თბილისი
	სულ	10	300		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1956 წლის განმავლობაში

(მუშაობიდან მოწყვეტით)

№№	კურსების დასახელება	ჯგუფ. რაოდენობა	მსმენელთა კონტინგენტი	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1	დაწყ. კლ. მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	II	თბილისი
	დაწყ. კლ. მასწავ-თა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	II	ქუთაისი
2	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	III	თბილისი
3	სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	2	60	III	„
	სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	2	60	III	ქუთაისი
4	ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა . .	1	30	III	„
5	დაწყ. კლ. მასწავ-თა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	III	თბილისი
6	მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორების	1	30	III	„
7	ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	IV	„
	ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	IV	ქუთაისი
8	სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	IV	თბილისი
	სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	IV	ქუთაისი
9	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	IV	„
10	7 წლ. და საშ. სკ. სასწ. ნაწ. გამგეების .	4	120	IV	თბილისი
11	საბავშვო ბაღის აღმზრდელთა	2	60	V	„
	„ „ „	1	30	V	ქუთაისი
12	საბავშვო სახლის აღმზრდელთა	1	30	V	თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	კურსების დასახელება	ჯგუფ. რაოდენობა	მსმენელთა კონტინგენტი	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
13	ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტების . .	1	30	V	თბილისი
	„ „ „	1	30	V	თბილისი
14	სასკოლო ბიბლიოთეკარების	2	60	IX	თბილისი
	„ „	1	30	IX	ქუთაისი
15	კინოდემონსტრატორების	1	30	IX	თბილისი
16	დაწყ. კლ. მასწ-თა ხელგარჯილობაში დახელოვნების	2	60	IX	ქუთაისი
17	შრომისა და პრაქტიკული მეცადინეობის მასწავლებელთა	2	60	X	თბილისი
18	ფიზიკური აღზრდის მასწავ-თა	2	60	X	ქუთაისი
19	მუშა ახალგაზრდ. სკ. ქართული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	1	30	X	თბილისი
20	7 წლ. და საშ. სკოლის დირექტორების .	4	120	X	„
21	სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	2	60	XI	„
	სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	2	60	XI	ქუთაისი
22	მუშა ახალგაზრდობის სკ. მათემატიკის მასწავლებელთა	1	30	XI	თბილისი
23	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	XI	„
24	სასკოლო ინსპექტორების	1	30	XI	„
25	დაწყ. კლ. მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების	1	30	XI	ქუთაისი
26	სოფლის ახალგაზრდობის სკ. დირექტორებს	1	30	XII	თბილისი
27	ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	XII	„
28	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	XII	ქუთაისი
29	შრომისა და პრაქტიკული მეცადინეობის მასწავლებელთა	2	60	XII	„
	სულ	53	1590		

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კურსების მოწყობის გეგმა 1956 წლის ზაფხულის პერიოდში

№ №	კურსების დასახელება	ჯგუფ. რაოდ.	მსმენ. კონტინ-გენტი	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1	ქართული სკ. დაწყ. კლ. მასწავ-თა . .	5	150	VI	ბორჯომი
	„ „ „ . .	5	150	VI	ქუთაისი
	„ „ „ . .	4	120	VI	თელავი
2	რუსული სკ. დაწყ. კლ. მასწავ-თა . . .	4	120	VI	თბილისი
3	არარუსული სკ. დაწყ. კლ. რუსული ენის მასწავლებელთა	3	90	VI	„
	არარუსული სკ. დაწყ. კლ. რუსული ენის მასწავლებელთა	2	60	VI	ქუთაისი
4	ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა	5	150	VI	სურამი
	ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა	5	150	VI	ქუთაისი
5	აზერბაიჯანული სკ. დაწყ. კლ. მასწავ-ლებელთა	2	60	VI	დმანისი
6	სომხური სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა .	1	30	VI	ახალქალაქი
7	აფხაზური სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა .	1	30	VI	გუდაუთი
8	ოსური სკ. დაწყ. კლ. მასწავლებელთა .	1	30	VI	სტალინირი
9	სპეცსკოლების მასწავლებელთა	1	30	VI	ქ. თბილისი
		39	1170		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა 1956 წლის ზაფხულის პერიოდში

№ №	კურსების დასახელება	ჯგუფ. რაოდ.	მსმენელთა კონტინგენტი	მუშაობის დრო	მუშაობის ადგილი
1	ქართული ენისა და ლიტ. მასწავ-თა . .	4	120	VII	ბორჯომი
	„ „ „ . .	4	120	„	ბათუმი
2	არა რუსული სკ. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	3	90	„	გუდაუთი
	არა რუსული სკ. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	3	90	„	სოხუმი
3	რუსული სკ. რუსული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	2	60	„	გუდაუთი
4	გერმანული ენის მასწავლებელთა . . .	3	90	„	თბილისი
5	ინგლისური ენის მასწავლებელთა . . .	2	60	„	„
6	ფრანგული ენის მასწავლებელთა	1	30	„	„
7	აზერბაიჯანული ენისა და ლიტ. მასწავლებელთა	1	30	„	დმანისი
8	სომხური ენისა და ლიტ. მასწავ-თა . .	1	30	„	ახალქალაქი
9	ფიზიკის მასწავლებელთა	2	50	„	თბილისი
	„ „	2	60	„	ქუთაისი
	„ „ (რუსული ჯგ.) .	1	30	„	თბილისი
10	ქიმიის მასწავლებელთა	2	60	„	„
	„ „ (რუსული ჯგ). . .	1	30	„	„
11	მათემატიკის მასწავლებელთა	3	90	„	თელავი
	„ „	3	90	„	ქუთაისი
	„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	„	თელავი
	„ „ (აზერბაიჯ. სკ.)	1	30	„	დმანისი
	„ „ (სომხური სკ.)	1	30	„	ახალქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№	კურსების დასახელება	ჯგუფ. რაოდ.	მსმენელთა კონტინგენტი	მუშაობის დრო	ადგილი
12	გეოგრაფიის მასწავლებელთა	2	60	VII	ბორჯომი
	„ „	2	60	„	ქუთაისი
	„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	„	ბორჯომი
13	ბიოლოგიის მასწავლებელთა	2	60	„	თბ. გარეუბ. სოფ. მარტყოფი
	„ „	2	60	„	ქუთაისი
	„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	„	სოფ. მარტყოფი
14	ისტორიის მასწავლებელთა	2	60	„	სურამი
	„ „	2	60	„	ქუთაისი
	„ „ (რუსული ჯგ.)	1	30	„	სურამი
15	ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა	1	30	„	თეთრიწყარო
16	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	„	თბილისი
	მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	„	ქუთაისი
17	ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	„	თბილისი
	ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	„	ქუთაისი
18	სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელთა	1	30	„	ქუთაისი
19	ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა . .	2	60	VI	თბილისი
20	სამხედრო მომზადების მასწავ-თა . . .	1	30	VI	„
		65	1940		

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 149

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 15 თებერვალი

თელავისა და ყვარლის რაიონების სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ანგარიშს და თელავისა და ყვარლის რაიონების ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ რაიონების ზოგ სკოლაში მოპოვებულია გარკვეული წარმატება პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად, კეთილმოწყობილია სასწავლო-საცდელი ნაკვეთები ნაფარეულის, ფშავლის, ვანთის (თელავის რაიონი), ყვარლის I, შილდისა და გავაზის საშ. სკოლებში.

პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენების უზრუნველსაყოფად ქმედით ღონისძიებებს ატარებს თელავის რაიონის განათლების განყოფილება. მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით განყოფილებამ მოაწყო სკოლების დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის სკოლების დირექტორები და ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმებისა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის ყველა მასწავლებელი. ამის შემდეგ ჩატარდა რაიონული კონფერენცია, რომლებმაც შეაჯამა დათვალიერების შედეგები და დასახა სათანადო ღონისძიებები. რაიონის სკოლებში ფართოდ არის გაშლილი ნორჩ ნატურალისტთა მუშაობა. სკოლებში მოეწყო სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე და ცოცხალ კუთხეებში ნორჩ ნატურალისტთა მიერ მიღებული სანიმუშო შედეგების გამოფენები. ნაფარეულის, ფშავლისა და კონდოლის საშუალო სკოლების გამოფენის მასალები, როგორც სანიმუშონი, გამოტანილი იქნა რაიონულ სასოფლო სამეურნეო გამო-

ფენაზე, სადაც მათ მაღალი შეფასება მიიღეს. ქმედითი ღონისძიებებია გატარებული თელავის რაიონის სკოლებში გეოგრაფიული მოედნების მოსაწყობად. ზოგიერთ სკოლაში მოწყობილია სასწავლო სახელოსნოები. ნაფარეულისა და ფშავლის საშუალო სკოლებს ნაფარეულის მტს-მა გადასცა „სტზ“ მარკის ტრაქტორები, კულტივატორები და სათესი მანქანები. თელავის მე-3 და მე-4 საშუალო სკოლებს თელავის მტს-მა და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა გადასცა სახარატო დაზგები, ელექტრო მოტორები და ავტომანქანები. შილდის საშუალო სკოლაში სახელოსნოსათვის გამოყოფილია ერთი ოთახი, შეძენილია ელექტრო ხერხი, ხესა და ლითონზე სამუშაო იარაღები, მტს-ის მიერ გადაცემულია სამუშაო მდგომარეობაში მყოფი „სოტი“. ყვარლის I საშუალო სკოლის სახელოსნოსათვის შეძენილია ლითონზე სამუშაო იარაღები და გირაგები.

შესწავლილ სკოლებში კარგად მუშაობენ მასწავლებლები: მათემატიკაში — ნ. ტერუნაშვილი (ვანთის საშ. სკ.), ნ. ლომიძე, ლ. მატინოვა (თელავის I საშ. სკ.), გ. მჭედლიშვილი (შილდის საშ. სკ.); ფიზიკაში — დ. მესხი (თელავის მე-3 საშ. სკ.), ე. ნანობაშვილი (თელავის I საშ. სკ.); ქიმიაში გ. როსტომოვი (ფშავლის საშ. სკ.), დ. კომლაძე (ყვარლის I საშ. სკ.), რ. ხიზანიშვილი (შილდის საშ. სკ.); ბიოლოგიაში—დ. კბილაშვილი (ვანთის საშ. სკ.), ე. შათირიშვილი (შილდის საშ. სკ.) და ნ. ვახტანგიშვილი (თელავის I საშ. სკ.).

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად თელავისა და ყვარლის რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ მუშაობენ არასათანადო ცენზისა და დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლები. გავაზის საშუალო სკოლაში ქიმიას ასწავლიან ე. სურამლიშვილი და შ. ვარდანაშვილი, რომელთაც ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული.

ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრების სიმცირის გამო ადგილი აქვს ზოგიერთი მასწავლებლის გადატვირთვას (გავაზის საშ. სკოლა). ზოგ სკოლაში ადგილი აქვს საათების დაქუცმაცების შემთხვევას, მაგალითად, ფშავლის საშუალო სკოლაში ქიმიის 24 საათი განაწილებულია ოთხ მასწავლებელზე, გავაზის საშუალო სკოლაში ფიზიკის 29 საათი ოთხ მასწავლებელზე და ბუნებისმეტყველების 38 საათი ოთხ მასწავლებელზე.

სკოლების ერთი ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას. ვანთის საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. კირვალიძე) მიმდინარე სასწავლო წელს ჩამოშორდა 8, ფშავლის საშუალო სკოლას (დირექტორი ... ტომოვი) — 8, თელავის პირველ საშუალო სკოლას (დირექტორი ნ. გურგენიძე)—2; ყვარლის პირველ საშუალო სკოლას (დირექტორი დ. კომლაძე)—2 და გავაზის საშუალო სკოლას (დირექტორი მ. მეტრეველი)—4 მოსწავლე.

ერთგვარი ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლის წლიური სამუშაო გეგმები. მათში გათვალისწინებული არ არის მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის შემოღებასთან დაკავშირებით სახელოსნოების მოწყობისა და ამ საგნებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები.

რიგ სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ზოგადია.

არასაკმაო სიმაღლეზე დგას მასწავლებლის მუშაობაზე შინასაკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი. თელავის პირველი საშუალო სკოლის დერექტორი ნ. გურგენიძის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი რიგ შემთხვევაში სქემატურია და არაფრის მთქმელი. ნაფარეულის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს თ. შაქარაშვილს ნახევარი წლის მანძილზე მოსმენილი აქვს 7 გაკვეთილი, ხოლო გავაზის საშუალო სკოლის დირექტორს მ. მეტრეველს არცერთი გაკვეთილი არ მოუსმენია.

რიგ სკოლებში სწორად არ არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი (თელავის პირველი, ყვარლის პირველი და ფშავლის საშუალო სკოლები).

თელავის პირველ, ყვარლის პირველ, შილდისა და გავაზის საშუალო სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეს. ადგილი აქვს მიმდინარე და მეოთხედური შეფასების ნიშნების გადასწორების შემთხვევებს, არაა დაჯამებული მოსწავლეთა გაცდენები კვირის ბოლოს და სხვ.

დიდია არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. შილდის საშუალო სკოლის VIII² კლასის 40 მოსწავლის მიერ 1/IX—14/I-მდე გაცდენილი 2756 გაკვეთილიდან არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 769 გაკვეთილი. თელავის პირველ საშუალო სკოლის VIII² კლასის 22 მოსწავლის მი-

ერ 1/IX—21/I-მდე გაცდენილი 1342 გაკვეთილიდან არასაპატიო მიზეზითაა გაცდენილი 371 გაკვეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ სკოლებში მოუგვარებელია მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. II მეოთხედის ბოლოს შილდის საშუალო სკოლის 976 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა—250. ამ სკოლის I კლასის 121 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 21, II კლასის 105 მოსწავლიდან —17, V კლასის 83 მოსწავლიდან — 31 და IX კლასის 88 მოსწავლიდან —34 მოსწავლე. ანალოგიური მდგომარეობაა გავაზის საშუალო სკოლაში. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა თელავის რაიონის შესწავლილ სკოლებში.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ალგებრაში ფშავლისა (მასწ. ნ. კევლიშვილი) და ყვარლის პირველი (მასწ. ლ. გიოშვილი) საშუალო სკოლების VI კლასებში. 21 მოსწავლიდან (ფშავლის საშ. სკოლა) საკონტროლო წერაზე შეფასება „2“ მიიღო 15 მოსწავლემ. ნაფარეულის (მასწ. ა. მელიქოვი) და შილდის (მასწ. ფ. როსტომაშვილი) საშუალო სკოლების VII კლასების მოსწავლეებმა არ იციან შემოკლებული გამრავლების ფორმები და მრავალწევრთა დაშლა თანამამრავლებად; უჭირთ დამოუკიდებლად მაგალითების ამოხსნა. დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ყვარლის პირველი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა გეომეტრიაში და XI კლასის მოსწავლეებმა ტრიგონომეტრიაში (მასწ. დ. სეფაშვილი). XI კლასის მოსწავლეებმა არ იციან შექცეული ტრიგონომეტრიული ფუნქციები და ტრიგონომეტრიული განტოლებები. მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად ამოხსნან ამოცანები. მასწ. დ. სეფაშვილი ნაკლებად ავარჯიშებს მოსწავლეებს პრაქტიკული სახის ამოცანების ამოხსნაზე. გავაზის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა ტრიგონომეტრიაში არ იციან დაყვანისა, ორი ნებისმიერი კუთხის ჯამისა და სხვაობის ტრიგონომეტრიული ფორმულები. მასწ. ბ. ფარჯანიძე მოსწავლეებს არ აბამს მუშაობაში, ახსნისას მიმართავს ლექციურ მეთოდს. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეომეტრიაში ფშავლის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწ. მ. შათირიშვილი), ალგებრაში ნაფარეულის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწ. ზ. ძამუკაშვილი) და ყვარლის პირველი საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. თ. მებზევიშვილი) მოსწავლეებმა.

სათანადოდ არ არის დაყენებული ფიზიკის სწავლება ვანთის საშუალო სკოლის VIII და IX კლასებში (მასწ. რ. აზნიაშვილი).

მოსწავლეები ვერ ერკვევიან ფიზიკური მოვლენების კანონზომიერებაში, არ ესმით მათემატიკური ფორმულების ფიზიკური შინაარსი და მიღებულ ცოდნას ვერ იყენებენ პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს. VIII კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს ელექტროდენის ძალა, სიმძლავრე, მათი ერთეულები და წარმოდგენა არა აქვთ ელექტროდენის მუშაობაზე. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გავაზის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. გ. დოლმაზიშვილი).

შილდის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ს. მიჩილაშვილი ვერ ფლობს კაბინეტში არსებულ ხელსაწყო-იარაღებზე მუშაობის ტექნიკას, რის გამოც სწავლება ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე მიმდინარეობს.

ზოგიერთ სკოლაში არ არის შექმნილი სათანადო პირობები ფიზიკის სწავლებისათვის, ვანთისა და გავაზის საშუალო სკოლებში არ არის გამოყოფილი კაბინეტისათვის ცალკე ოთახი, ყვარლის პირველ საშუალო სკოლაში გამოყოფილი ბინა მცირე მოცულობისაა. კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას. კაბინეტებთან არ არის შექმნილი ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა; გამოყოფილი არ არის ადგილი საგნობრივი და ტექნიკური წრეების მუშაობისათვის. მასწავლებლები თვალსაჩინოებისათვის ნაკლებად იყენებენ სქემებს ნახაზებსა და სხვ.

თელავის რაიონის ვანთისა და ყვარლის რაიონის გავაზის საშუალო სკოლებში მანქანათმცოდნეობა და ელექტროტექნიკა თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება. სკოლებს არა აქვთ დამხმარე ხელსაწყოები, მასალები და სამუშაო ადგილი ავტოსაქმის სწავლებისათვის, ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკური წრეების მუშაობას.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება გავაზისა (მასწ. ე. სურამლიშვილი) და ნაფარეულის (მასწ. თ. გიქუაშვილი) საშუალო სკოლებში. მასწავლებელი ე. სურამლიშვილი ვერ ფლობს საგანს, უძნელდება ამოცანების ამოხსნა, სადემონსტრაციო ცდებისა და პრაქტიკული მუშაობის ჩატარება. X კლასის მოსწავლეებმა არ იციან პერიოდულ სისტემათა ჯგუფები, ნივთიერიების თვისებათა ცვლილებები პერიოდებში, აზოტმჟავას მარილები და სხვ. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს შილდის საშუალო სკოლის VIII — IX კლასების მოსწავლეებმა (მასწ.

ვ. ელიზბარაშვილი). შესწავლილ სკოლებს არა აქვთ შედგენილი სასწავლო ექსკურსიების გეგმა. არც ერთი ექსკურსია არ აქვთ ჩატარებული ნაფარეულისა და შილდის საშუალო სკოლებს. ქიმიის საგნობრივი წრის სამუშაო გეგმები, მხოლოდ გამოჩენილ ბიოლოგოსთა ბიოგრაფიების შესწავლით არის გადატვირთული. წრეებში ნაკლები ყურადღება ექცევა პრაქტიკულ სამუშაოებს.

მნიშვნელოვანი დეფექტებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება. ფშავლის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. რამაზაშვილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ატარებს ლაბორატორიულ სამუშაოებს და ექსკურსიებს. VII კლასში ერთ გაკვეთილზე მან ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე გააცნო მოსწავლეებს ძალზე დიდი მასალა: ცხოველთა სუნთქვის ორგანოები, სისხლის მიმოქცევის სისტემა, გამომყოფი ორგანოები, ნერვიული სისტემა და გრძნობათა ორგანოები. IX კლასში „მიჩურინული მოძღვრების 'ძირითადი დებულებანი" ისე ახსნა, რომ არ გააშუქა მცენარის კავშირი გარემოსადმი, არაფერი თქვა საკვების, 'როგორც მცენარის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ.

შილდის საშუალო სკოლის სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელი ს. მიჩილაშვილი გაკვეთილებს ზეპირსიტყვიერად ატარებს, არ უკავშირდება წარმოებას პრაქტიკუმის ჩატარებისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას, რის გამოც მოსწავლეებმა მეცხოველეობის კურსიდან არ იციან ცხოველთა საკვების სახეები, ცხოველთა მინერალური კვების მნიშვნელობა, მეწველი ძროხის რაციონი, საკვებთა დასილოსება, ძროხის ცოცხალი წონის განსაზღვრის წესები და სხვ. ვანთის, ნაფარეულის, ფშავლის, თელავის პირველ და ყვარლის პირველ საშუალო სკოლებში ბიოლოგიის კაბინეტებისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო ბინები და კაბინეტების ისედაც ღარიბი მოწყობილობა საკლასო ოთახებშია მოთავსებული. ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული ბიოლოგიის სწავლების პროცესში ექსკურსიები ბუნებასა და სოფლის მეურნეობაში. სუსტია სკოლასა და წარმოებას შორის კავშირი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილების გამგეებმა (ამხ. ა. ნადაშვილი და ამხ. გ. კევლიშვილი):

ა) გააუმჯობესონ რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, განსაკუთ-

რებული ყურადღება მიაქციონ პრაქტიკული მეცადინეობის, მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების მაღალხარისხოვნად ჩატარებას და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ამ საგნების მასწავლებლებს პედაგოგიური დასწავლოვნების საქმეში;

ბ) უზრუნველყონ სკოლების მჭიდრო კავშირი შეფ-ორგანიზაციებთან;

გ) გულდასმით შეისწავლიან პოლიტექნიკური სწავლების საქმეში მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება და ფართოდ განაზოგადონ იგი;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტი მასწავლებლების მუშაობას, გაუწიონ მათ მეთოდური დახმარება და სასწავლო წლის დასრულებისას, შემოწმების შედეგების მიხედვით გაატარონ საჭირო ღონისძიებები;

ე) არ დაუშვან არასპეციალისტ მასწავლებელთა გამოყენებისა და ცალკეულ საგნებში საათების დაქუცმაცების შემთხვევები.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) დააზუსტონ სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა და უახლოეს დროში უზრუნველყონ სწავლებაში მათი ჩაბმა;

ბ) გადასინჯონ გაკვეთილების ცხრილი და შეიტანონ მათში სათანადო შესწორებები;

გ) წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები;

დ) სისტემატურად იზრუნონ სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შევსებაზე; საქმიანი კავშირი დაამყარონ შეფ-ორგანიზაციებთან და აქტიურად ჩააბან ისინი პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში;

ე) ხშირად დაესწრონ გაკვეთილებზე სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობის და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის მასწავლებლებს, ჩააბან ისინი მეთოდური კომისიების მუშაობაში და ხელი შეუწყონ მათ პედაგოგიურ დახელოვნებას.

3. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არასათანადო ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ: თელავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს ნ. გურგენიძეს და გავაზის საშუალო სკოლის დირექტორს მ. მეტრეველს.

4. საგნის სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის მიეთითოთ მათემატიკის მასწავლებელს ბ. ფარჯანაძეს (გავაზის საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლებს: ს. მიჩილაშვილს (შილდის საშ. სკ.), რ. აზნიაშვილს (ვანთის საშუალო სკ.); ქიმიის მასწავლებლებს: ე. სურამლიშვილს (გავაზის საშუალო სკ.), ვ. ელიზბარაშვილს (შილდის საშ. სკ.); ბიოლოგიის მასწავლებლებს: ნ. რამაზაშვილს (ფშავლის საშ. სკ.) და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის მასწავლებელს ს. მიჩილაშვილს (შილდის საშ. სკ.).

5. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) დააზუსტოს თელავისა და ყვარლის რაიონების სკოლების კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

6. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ ფართოდ გააშუქოს თელავის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის გამოცდილებანი პოლიტექნიკური სწავლების საქმეში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 10 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

მ. ბურჯულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 150

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 16 თებერვალი

საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მეთოდური გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საბავშვო ბაღების აღმზრდელთა პედაგოგიური დახელოვნების, მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და განზოგადების გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მეთოდური გაერთიანების დებულება.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ჩამოაყალიბონ და წარმართონ მეთოდგაერთიანებების მუშაობა ამ დებულების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდე დაწესებულებათა განყოფილებამ სისტემატურად შეამოწმონ მეთოდგაერთიანებების მუშაობა, გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება და შედეგები მოახსენონ კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 10 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

მ. ბურჯულაძე

საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მეთოდური გაერთიანების დებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. მეთოდური გაერთიანების ამოცანები

1. მეთოდური გაერთიანება წარმოადგენს საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მუდმივად მოქმედ კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციას.

2. მეთოდური გაერთიანების ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს აღმზრდელების პედაგოგიური კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას;

ბ) დაეხმაროს მათ, პრაქტიკაში სწორად განახორციელონ „სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელისათვის" და დაახელოვნოს ისინი აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდებსა და ხერხებში (თამაშის, სიმღერის, თხრობის, მასალებზე მუშაობის ჩატარებაში, და ა. შ.);

გ) ხელი შეუწყოს საუკეთესო გამოცდილებების გავრცელებას;

დ) მეთოდური დახმარება გაუწიოს ახლად დამწყებ და ნაკლები გამოცდილების მქონე აღმზრდელებს;

ე) გააცნოს აღმზრდელებს ახალი პედაგოგიური და საბავშვო ლიტერატურა.

II. მეთოდური გაერთიანების მუშაობის შინაარსი და ფორმები

3. მეთოდური გაერთიანების მუშაობა განისაზღვრება საბავშვო ბაღის აღმზრდელის სახელმძღვანელოს შინაარსით, სკოლამდელი აღზრდის მორიგი ამოცანებითა და მიცემული რაიონის ან ქალაქის საბავშვო ბაღების აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობით.

4. მეთოდური გაერთიანებების მუშაობის სახეებია:

ა) ცალკეული მოხსენებებისა და ლექციების ჩატარება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე;

ბ) მოხსენებების ჩატარება და რეფერატების კითხვა სკოლამდელ პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა და მეთოდიკაში;

გ) აღმზრდელების მოხსენებებისა და ინფორმაციების განხილვა პედაგოგიური პრაქტიკის კონკრეტულ საკითხებზე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მეცადინეობისა და თამაშის შინაარსი და მათი

ჩატარების მეთოდიკა, ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობა, საბავშვო ბაღის ჰიგიენა და სანიტარია და სხვ);

დ) პროგრამულ-მეთოდური მითითებების, მეთოდური წერილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სანორმატიო მეთოდური დოკუმენტების შესწავლა, ჟურნალ „დოშკოლნოე-ვოსპიტანიეში“ მოთავსებული ცალკეული სტატიების განხილვა;

ე) საპროგრამო მასალის ანალიზი და აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;

ვ) აღმზრდელთა ურთიერთ დასწრება მეცადინეობებზე, ღია მეცადინეობების ორგანიზაცია და მათი გაანალიზება;

ზ) პრაქტიკული მეცადინეობის მოწყობა დამწყები მუშაკებისათვის;

თ) პედაგოგიური პროპაგანდის ჩატარება მშობელთა და მოსახლეობას შორის.

შენიშვნა: მეთოდურ გაერთიანებაზე პირველ რიგში განიხილება აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი საკითხები, რომლებიც უძნელდებათ პედაგოგებს და მოითხოვენ კოლექტიურ განხილვას.

III მეთოდური გაერთიანებების მუშაობის ორგანიზაცია

5. მეთოდურ გაერთიანებებში მონაწილეობენ აღმზრდელები და გამგეები მოცემული რაიონის ან ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ყველა უწყების საბავშვო ბაღებიდან.

6. რაიონში ან ქალაქში, რომელშიაც არის არა ნაკლებ 15—20 აღმზრდელისა, ორგანიზებული უნდა იქნეს სარაიონო (საქალაქო) მეთოდური გაერთიანება.

შენიშვნა: იმ რაიონების აღმზრდელებისა და გამგეებისათვის, სადაც 1—2 საბავშვო ბაღია, იქმნება სარაიონთაშორისო გაერთიანება, რომლის შეკრება წელიწადში ტარდება 2—3-ჯერ.

7. რაიონში ან ქალაქში თუ არსებობს რამდენიმე სამ და ოთხ ჯგუფიანი საბავშვო ბაღი, იმ შემთხვევაში რაიონის ან ქალაქის მეთოდურ გაერთიანებებში ყალიბდება სექციები: უმცროსი, საშუალო და უფროსი ჯგუფების აღმზრდელთათვის.

8. ერთკომპლექტიან, ან ორკომპლექტიან საბავშვო ბაღების აღმზრდელთათვის თუ რაიონში ან ქალაქში 8—10 საბავშვო ბაღია, ეწყობა ცალ-ცალკე მეთოდური გაერთიანება.

9. მეთოდური გაერთიანების ორგანიზაცია ევალება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან შეთანხმებით, ჯგუფური მეთოდური გაერთიანებისა და სექციების ხელმძღვანელები ინიშნებიან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების მიერ საუკეთესო კვალიფიციური აღმზრდელებისა და გამგეების რიცხვიდან.

10. მეთოდური გაერთიანებების მუშაობისათვის რაიონის განათლების განყოფილება აწესებს ერთ გარკვეულ დღეს კვარტალში. სამუშაო საათები ინიშნება იმ ანგარიშით, რომ ხელი არ შეეშალოს საბავშვო ბაღის ნორმალურ მუშაობას და ამავე დროს ყველა აღმზრდელი იყოს ჩაბმული მეთოდგაერთიანების მუშაობაში.

11. რაიონული და ჯგუფური მეთოდური გაერთიანების გეგმები დგება ნახევარი წლისათვის და მტკიცდება განათლების განყოფილების გამგის მიერ.

IV მეთოდური გაერთიანებების ხელმძღვანელობა

12. საქალაქო, რაიონული, ჯგუფური მეთოდური გაერთიანებების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს განათლების განყოფილება.

13. ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილებებთან არსებული სკოლამდელი **მეთოდური კაბინეტები** სისტემატურ დახმარებას უწევენ მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელობას.

14. **მასწავლებელთა** დახელოვნების ინსტიტუტი დროგამოშვებით აწყობს სემინარს სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელთათვის, უწევს მათ ზეპირ და წერილობით კონსულტაციას, აწყობს ლექცია-მოხსენებებს მეთოდური მუშაობის საკითხებზე.

მეთოდური გაერთიანებების ხელმძღვანელები

ა) ადგენენ მეთოდური გაერთიანების გეგმებს, იხილავენ მათ სკოლამდელ მუშაკებთან და დასამტკიცებლად უდგენენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგეს:

ბ) უზრუნველყოფენ გეგმის შესრულებას, მომხსენებლად იწვევენ გამოცდილ კვალიფიციურ ლექტორებს, სკოლამდელი პედაგო-

გიური სასწავლებლების მასწავლებლებსა და ინსტიტუტების მუშაკებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ადგენენ ღია მეცადინეობებისა და საბავშვო ბაღებში ერთ-დელთა ურთიერთ დასწრების ცხრილს;

დ) აწყობენ მეთოდური გაერთიანების მუშაობის აღრიცხვას და ანგარიშს აბარებენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგეს. (ასლს უგზავნიან მასწავლებელთა და ხელოვნების ინსტიტუტს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 171

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 23 თებერვალი

ახალციხისა და ბორჯომის რაიონების განათლების განყოფილებებისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

განვიხილე რა ახალციხის და ბორჯომის რაიონების განათლების განყოფილებათა და ამავე რაიონების ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები, აღვნიშნავ, რომ ხსენებული რაიონების სკოლებში რამდენადმე გაუმჯობესებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. გაუმჯობესდა აგრეთვე განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლების მუშაობაზე. სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განხილულია როგორც ცალკეული საგნების სწავლების, ისე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებისა და პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის საკითხები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის საქმეში.

ახალციხის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, ვალეს პირველ და მეორე, აწყურის, სვირის საშუალო, შახტის № 2 რვაწლიან სკოლებში საშეფო ორგანიზაციების დახმარებით მოწყობილია სახელოსნოები. ბორჯომის რაიონის 12 საშუალო და 7 რვაწლიანი სკოლიდან სასწავლო სახელოსნოები მოწყობილია 10 საშუალო და 4 რვაწლიან სკოლაში.

ახალციხის პირველ საშუალო სკოლას ახალციხის სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა გადასცა სახარატო და ლითონის საბურღი დაზგები და სატვირთო ავტომანქანა „გაზ-აა“.

მე-2 შახტის რვაწლიან სკოლას ამავე შახტმა გადასცა სადურ-

გლო და საზეინკლო იარაღები (შერჰებელი, რანდა, ხერხები, ხვეწები, ქლიბები, მრგვალი ხერხი, 2,5 კვტ. სიმძლავრის ელექტრო მოტორი და სხვა). საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და საავტომობილო სამინისტროს ბორჯომის განყოფილებამ დვირის-ბორჯომის პირველ და ბორჯომის რუსულ სკოლებს გადასცა სამი ავტომანქანა, ხოლო ბორჯომის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა წაღვერის და ყვიბისის საშუალო სკოლებს გადასცა „სოტის" მარკის თითო ტრაქტორი. გაუმჯობესდა კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-შევსებისა და სწავლებაში მათი გამოყენების საქმე.

განათლების განყოფილებები სისტემატურად სწავლობენ სკოლების მუშაობას და უწევენ მათ სათანადო დახმარებას. ახალციხის რაიონის 10 საშუალო, 20 რვაწლიანი და 25 დაწყ. სკოლიდან სასწავლო წლის პირველი ნახევრის მანძილზე ყოველმხრივ შესწავლილია 9 საშუალო, 17 რვაწლიანი და 11 დაწყებითი სკოლის მუშაობა. ბორჯომის რაიონის 42 სკოლიდან ამავე პერიოდში შესწავლილია 35 სკოლის მუშაობა. ამავე რაიონში განმეორებით შემოწმებულია 3 საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლა. კარგად მუშაობს ახალციხის განათლების განყოფილებასთან არსებული პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ა. ნებიერიძე). აქ სისტემატურად და ნაყოფიერად ტარდება კონსულტაციები მასწავლებელთათვის და სექციური მუშაობანი.

მაგრამ აღნიშნულ წარმატებათა მიუხედავად სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს: ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება; მიმდინარე სასწავლო წლის მეორე მეოთხედში ახალციხის რაიონის სკოლების 7883 შეფასებულ მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 1557, ხოლო ბორჯომის რაიონის 5599 შეფასებული მოსწავლიდან—1047. დიდია მოსწავლეთა მიერ უმიზეზოდ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. ახალციხის რაიონის სკოლებში მეორე მეოთხედის მანძილზე გაცდენილია 27954, ხოლო ბორჯომის რაიონის სკოლებში—30285 გაკვეთილი.

ბევრი სკოლის მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ ძალზე ღარიბია. ახალციხის რაიონის 30 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან ფიზიკის კაბინეტი აქვს 15 სკოლას, ქიმიის 6-ს, ბიოლოგიის 7-ს და სხვადასხვა კაბინეტები 7 სკოლას. ბორჯომის რაიონის რვაწლიანი სკოლები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებულ ცდებსა და

ლაბორატორიულ სამუშაოთა ჩატარებას ფიზიკასა, ქიმიასა და ბიოლოგიაში.

ახალციხის რაიონის აწყურის საშუალო, გიორგიწმინდის, წნისის რვაწლიანი სკოლების დაწყებით კლასებში და ბორჯომის რაიონის პატარა ახალდაბის და ვაშლოვანის დაწყებით სკოლებში სწავლება მიმდინარეობს ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე. აღნიშნულ სკოლებს არ გააჩნიათ ხელგარჯილობის სწავლებისათვის სათანადო მატერიალური ბაზა. ხშირ შემთხვევაში I—II—III და IV კლასებში მოსწავლეები ერთ და იმავე სამუშაოს ასრულებენ.

დაბალი აკადემიური მომზადება გამოამჟღავნეს არითმეტიკაში ვაშლოვანის დაწყებითი სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ც. გოგიბერიძე), მათ არ იციან სახელდებული და განყენებული რიცხვები.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს არითმეტიკაში ყვიბისის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ანა კაპანაძე), მათ საფუძვლიანად არ იციან მოქმედებები მთელ რიცხვებზე. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ზეპირ ანგარიშს. დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ალ. კაპანაძე). მათ არ იციან იგივეობისა და განტოლების განსაზღვრა, განტოლების ძირითადი თვისებები, უჭირთ ამოცანის პირობის მიხედვით პირველხარისხოვან განტოლებათა სისტემის დამოუკიდებლად შედგენა. VII კლასის მოსწავლეებს (მასწ. თ. ჩადუნელი) გეომეტრიაში უჭირთ თეორემების დამოუკიდებლად დამტკიცება, მოსწავლეები ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ წრესა და წრეხაზს. ახალდაბის საშუალო სკოლის VII კლასში (მასწ. მ. ბლიაძე) საკონტროლო წერაზე გეომეტრიაში შემოწმების დღეს 28 მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო 12 მოსწავლემ.

ზოგ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას რუსული ენის სწავლება. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა დაწყებით კლასებში. ცუდად ისწავლება რუსული ენა გიორგიწმინდის (მასწ. გ. ბლიაძე) და წნისის რვაწლიანი (მასწ. გოგოლაძე) სკოლების დაწყებით კლასებში. აღნიშნული მასწავლებლები ვერ ფლობენ ენას, მოსწავლეებთან საუბრობენ ქართულ ენაზე, კმაყოფილდებიან მარტოოდენ ცალკეული სიტყვების თარგმნით და მოსწავლეთა მიერ ტექსტის მექანიკური გაზეპირებით. დაბალია აწყურის საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლეთა მომ-

ზადების დონე რუსულ ენაში (მასწ. ე. უსოვა). ამ კლასების მოსწავლეები საპროგრამო მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ, მათ არ შესწევთ უნარი დასმულ კითხვაზე გასცენ სწორი და ამომწურავი პასუხი, დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. ასევე არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს რუსულ ენასა და ლიტერატურაში ახალდაბის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. თ. ბერიძე). არასერიოზულად და უყურადღებოდ ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს გიორგიწმინდის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ო. გოზალოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალალო მდგომარეობაშია გერმანული ენის სწავლების საქმე ახალციხის რაიონის ზოგიერთ სკოლაში. გერმანული ენის საათები მასწავლებელთა განაკვეთის შევსების წყაროდაა გადაქცეული. აწყურის საშუალო სკოლაში გერმანული ენის 29 საათზე მუშაობს ოთხი არასპეციალისტი მასწავლებელი, (ს. დგებუაძე, მ. ქირაძე, გ. გამყრელიძე, თ. ლომაძე). ისინი ვერ ფლობენ ენას, სათანადოდ არ ემზადებიან და მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებენ, არ იცნობენ საპროგრამო გრამატიკულ მასალას და უგულვებელყოფენ მის სწავლებას. არადამაკმაყოფილებელია საკონტროლო წერითი სამუშაოების ხარისხი. ანალოგიური მდგომარეობაა გიორგიწმინდისა და წნისის რვაწლიან სკოლებში.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში კლასის ხელმძღვანელთა გეგმები არ გამოხატავს კლასის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის სპეციფიურობას. ახალდაბის და ყვიბისის საშუალო სკოლების კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები ერონაირი და ზოგადია. ყვიბისის საშუალო სკოლის VI კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაში (კლასის ხელმძღვანელი ე. გელაშვილი) გათვალისწინებულია კომკავშირელ და პიონერ მოსწავლეთა დარაზმვა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, მაშინ, როდესაც ამ კლასში არც ერთი კომკავშირელი მოსწავლე არ ირიცხება. ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი არ იცნობს კომკავშირის ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებებს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ახალდაბის საშუალო სკოლის პიონერთა შემადგენლობის 10 პროცენტი და კომკავშირელთა 18 პროცენტი სწავლაში ჩამორჩება. პიონერულ ხელმძღვანელ ორგანოში არჩეული 30 პიონერიდან სამოსანია 22, ხოლო რაზმის 5 ხელმძღვანელიდან სამოსანია 4 მოს-

წავლე. რაზმეულისა და რაზმების კედლის გაზეთები არ არის მეტ-
მოვნებით გაფორმებული. ყველა რაზმი არ არის უზრუნველყოფი-
ლი პიონერული ატრიბუტებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. აწყურის საშუალო სკოლას პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე არ განუხილავს საკითხი სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების მდგომარეობის შესახებ. ახალდაბის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების წიგნი ზონარგაუყრელი და დაულუქავია.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებელია შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა; მცირეა სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ მოსმენილი გაკვეთილების რაოდენობა, ღარიბია გაკვეთილების ანალიზი და მასწავლებლებზე მიცემული მითითებები ფორმალურ ხასიათს ატარებს. (გიორგიწმინდის 8 წლ. სკოლის დირექტორი ე. გოგოლაძე; აწყურის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლ. ჩიტაშვილი). ახალდაბის საშუალო სკოლის დირექტორს ა. ლომიძეს მოსმენილი 48 გაკვეთილიდან და ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ე. რამიშვილს მოსმენილი 104 გაკვეთილიდან არც ერთი გაკვეთილი არა აქვთ გაანალიზებული.

შემოწმებულ სკოლებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები გააჩნიათ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში. ახალციხის ქართული საშუალო სკოლიდან ვანთესილია 6, ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის საშუალო სკოლიდან 8 და ტაბაწყურის საშუალო სკოლიდან 7 მოსწავლე. სკოლებს არა აქვთ სასოფლო საბჭოს მიერ დამტკიცებული საკომლო დავთრებიდან ამოწერილი მოსწავლეთა კონტინგენტის სია და არ ხდება მისი შედარება სასკოლო ჟურნალების ჩანაწერებთან. ადგილი აქვს ასაკგადაცილებულობის გამო V—VII კლასებიდან მოსწავლეთა გაშვების შემთხვევებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. აწყურის საშუალო სკოლას ამ მიზეზით დააკლდა 12, გიორგიწმინდის რვაწლიანი სკოლის 5 და ბორჯომის რაიონის ყვიბისის საშუალო სკოლას —8 მოსწავლე. ზოგიერთი ცვლილების შეტანაა საჭირო ბორჯომის რაიონის სკოლების ქსელის განლაგებაში, მაგალითად, პატარა ახალდაბის დაწყებითი სკოლა I — II კლასებით, რომლებშიც სულ 13 მოსწავლე ირიცხება, არსებობს დამოუკიდებლად, მაშინ, როდესაც ახალდაბის საშუალო სკოლა ამ

სკოლიდან — მხოლოდ 400—500 მეტრითაა დაშორებული. ანალოგიური მდგომარეობაა ვაშლოვანის დაწყებით სკოლაში, [illegible] აგრეთვე მცირე მანძილით არის დაშორებული ყვიბისი [illegible] სკოლისაგან.

სუსტია ბორჯომის რაიონის ახალდაბის და ყვიბისის საშუალო სკოლების ბავშვთა მონაწილეობა თვითშემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციებში, კონკურსებში (ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას), ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა ოლიმპიადებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებში.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბორჯომის პიონერთა სახლი (დირექტორი ი. ამილახვარი). ნაცვლად 12 ფინანსური ჯგუფისა, მუშაობს მხოლოდ 6 ჯგუფი. მასში ჩაბმული მოსწავლეები გადატვირთულნი არიან. ისინი ნაცვლად კვირეული 4 საათისა მეცადინეობენ 8 საათს. პიონერთა სახლში დღემდე არც ერთი ტექნიკური წრე არ არის ჩამოყალიბებული. ნორჩ ტექნიკოსთა წრის მეცადინეობა არ ტარდება სისტემატურად, ხოლო ხელფასი ყოველთვიურად იცემა. პიონერთა სახლში არ ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები. სუსტია წრეების მუშაობაზე პიონერთა სახლის დირექტორის კონტროლი და ხელმძღვანელობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალციხის და ბორჯომის რაიონების განათლების განყოფილებებმა (დ. აბაშიძე, ბ. მინჯია):

ა) ქმედითი ღონისძიებები გაატარონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განსახორციელებლად და სკოლას ჩამოშორებულ მოსწავლეთა სწავლებაში დაჩქარებით ჩასაბმელად;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად; დახმარება გაუწიონ სკოლებს სასწავლო კაბინეტების აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებით შევსების საქმეში;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს და სკოლის ხელმძღვანელებს. გაუწიონ მათ ქმედითი დახმარება და იმ მუშაკების შესახებ, რომლებიც ვერ გარდაქმნიან მუშაობას, სასწავლო წლის დასასრულს წარმოადგინონ პროექტი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ.

2. ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) განათლების განყოფილებისა და სახალხო განათლების საბჭოს სამუშაო გეგმებში გაითვალისწინოს პიონერთა რაზმების მეულების მუშაობაზე ხელმძღვანელობის, კომკავშირის ორგანიზაციებისადმი დახმარების და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაზე ხელმძღვანელობის საკითხები;

ბ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი პიონერთა სახლის მუშაობაზე, უახლოეს ხანში ჩამოაყალიბოს პიონერთა სახლში ტექნიკური წრეები და უზრუნველყოს ისინი კვალიფიციური კადრებით.

3. სკოლების დირექტორებმა:

ა) ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს, სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე და ხარისხის მკვეთრად გასაუმჯობესებლად დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი;

ბ) ჩაატარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა; აღწერის მასალები შეადარონ სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნების ჩანაწერებს და სკოლებში ფაქტიურად ჩაბმულ მოსწავლეთა სიებს, არ დაუშვან ასაკგადაცილებულობის გამო მოსწავლეთა სკოლიდან გაშვება;

გ) სკოლის წლიური სამუშაო და კლასის ხელმძღვანელების საალმზრდელო გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ სკოლის და კლასის კონკრეტული საჭიროებანი;

დ) გეგმებში გაითვალისწინონ პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაზე ხელმძღვანელობის, კომკავშირის ორგანიზაციაზე ყოველდღიური დახმარების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხები;

4. ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილებამ შეისწავლოს მომავალი სასწავლო წლიდან პატარა ახალდაბის დაწყებითი სკოლის ახალდაბის საშუალო სკოლასთან და ვაშლოვანის დაწყ. სკოლის ყვიბისის საშუალო სკოლასთან შეერთების მიზანშეწონილობის საკითხი და წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს სათანადო პროექტი.

5. ბორჯომის რაიონის პიონერთა სახლის დირექტორს ამხ. ი. ამილახვარს პიონერთა სახლის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

6. ახალციხისა და ბორჯომის რაიონების განათლების განყოფი-

ლებათა გამგეებმა 15 აპრილამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ ანგარიში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 17 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

მ. გურჯულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი **მ. ბურჭულაძე**

ტექრედაქტორი **პ. გუნიავა**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IV-56 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,75, სააღრიცხვო-საგამომცემლო—2,84, საავტორო—2,73.

უე 02371. ტირაჟი 5000. შეკვ. № 530

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

უფასო

18.11/227

ეროვნული
ბიბლიოთეკა